

პერსონალის კმაყოფილების გავლენა სამედიცინო დაწესებულების საქმიანობაზე

მარიამ ლეკვეიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჯანდაცვის მენეჯმენტში ბიზნეს  
ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან კუპატაშვილი, ჯანდაცვის ადმინისტრირების  
დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

*მარიამ ლეკვეიშვილი*

*14.06.2014*

## აბსტრაქტი

თითოეული ორგანიზაციის, მათ შორის, სამედიცინო დაწესებულების საქმიანობის შედეგიანობისა და წარმატების განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანური კაპიტალი. ყოველი ადამიანის თანდაყოლილი უნარის, შესაძლებლობის, განათლებისა და ცოდნის გამოყენებით შესაძლებელია კლინიკის ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა. დაქირავებულების ხარისხიანი მუშაობის განპირობება შესაძლებელია მათი მოტივაციისა და კმაყოფილების ამაღლებით. პერსონალის კმაყოფილების მაღალი დონის მისაღწევად საჭიროა მათი ხელშეწყობა პროფესიულ ზრდაში, დამოუკიდებლობის მინიჭება გადაწყვეტილების მიღებისას, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნა, სამართლიანი ანაზღაურების სისტემა. ჩატარებული კვლევის მიზანი იყო გამოეკვლია, რამდენად კმაყოფილნი არიან საქართველოში არსებული ქსელური და არაქსელური სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლები ზემოთ ჩამოთვლილი, და არა მარტო, ფაქტორებით. შეედარებინა ორი სახის კლინიკაში ამ მხრივ არსებული სიტუაცია.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ როგორც ქსელური, ასევე არაქსელური კლინიკების თანამშრომელთა ძირითადი უკმაყოფილების მიზეზი არის ანაზღაურება, ინფორმირებულობის დაბალი დონე და კომუნიკაციის ხარისხი. აღმოჩნდა, რომ არაქსელურ სამედიცინო დაწესებულებებში უფრო კმაყოფილი თანამშრომლები ყავთ სხვადასხვა ასპექტების მიხედვით, ვიდრე ქსელურ კლინიკებში.

მდგომარეობის გამოსასწორებლად მნიშვნელოვანია საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემების მოწესრიგება და ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა როგორც თითოეულ კლინიკაში, ისე მთლიანად ქსელში. გადასახედი და გასაახლებელია საქმიანობის შეფასებისა და ანაზღაურების სისტემები.

## მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის და ნაშრომის შექმნაში შეტანილი წვლილისთვის დიდ მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ჯანდაცვის ადმინისტრირების დოქტორანტ ქალბატონ რუსუდან კუპატაშვილს, ასევე, ჯანდაცვისა და დაზღვევის სკოლის დირექტორს ბატონ თენგიზ ვერულავას, დოქტორანტ მაგდა ასათიანს და კვლევაში მონაწილე კლინიკების ხელმძღვანელებს.